# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 178

„5“ დეკემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

**ქ.თბილისში, სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ოზაანის სახელის მინიჭების შესახებ**

1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე–16 მუხლის მე–2 ნაწილის პ/ქვეპუნქტის და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2011 წლის 27 მაისის №6–27 გადაწყვეტილების თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) სამგორის რაიონში, ქიზიყის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს ოზაანის (სოფელი და ციხე IX ს. კახეთის რეგიონში) სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი


X_ 493248.1454
Y_ 4614149.095
X_ 493128.4221
Y_ 4613784.6276